19.07.18

ს. კილაძე. მოგესალმებით, ბატონო ირაკლი, ძვირფასო კოლეგებო, მივესალმები სახალხო დამცველს, მის აპარატს, დღეს ძალიან მნიშვნელოვანი განხილვა გვაქვს სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენისა, რომელიც 2017 წელს, გატარებულ რეფორმებს და არსებულ გამოწვევებს ეხება და ბუნებრივია მე მინდა დავიწყო ჩვენი უმნიშვნელოვანესი საკითხით, რომ ადამიანი და მისი კეთილდღეობა არის „ქართული ოცნების“ პოლიტიკის მიზანი და ადამიანი ყოველთვის იყო ლაიტმოტივი იმ რეფორმებისა, რომელიც 2012 წლის შემდეგ, ჩვენ განვახორციელეთ და რომელმაც ყველაზე მთავარი თავისუფლება მოუტანა, ჩვენს ერს და ბუნებრივია ყველა საკითხი სწორედ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ იმიტომ, რომ უამრავი შეცდომების მიუხედავად , უამრავი გამოწვევების მიუხედავად მაინც ადამიანის უფლებების დაცვა არის ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი და ამოსავალი წერტილი. სახალხო დამცველის ანგარიშზე, ბუნებრივია, ვერ ვისაუბრებთ ობიექტურად თუ რეფორმებსაც და გამოწვევებსაც ერთდროულად არ შევაჯამებთ იმიტომ, რომ როგორც დადებითი ასევე, გამოწვევების კუთხით არსებული ტენდენციები არის ის საფუძველი, რომელიც ჩვენ რეალური ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს ამიტომ, მე მგონია, რომ კარგი, იქნება დავიწყო ჩემი გამოსვლა სწორედ იმ დადებითი დინამიკით რომელიც ნამდვილად არის ასახული ქალბატონ ნინოს ანგარიშში და რომელიც ძალიან კარგ საფუძველს გვაძლევს ობიექტურად შევაფასოთ ადამიანის უფლებების მიმართულებით არსებული სიტუაცია ჩვენს ქვეყანაში. სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშში, ძალიან დადებითად არის ის რევოლუციური ცვლილებები რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელდა და სასჯელაღსრულების სისტემა მთლიანად არის ორიენტირებული დღესდღეობით რესოციალიზაციაზე, ადამიანების დაბრუნებაზე საზოგადოებაში, ამ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. ასევე, ძალიან დადებითად არის შეფასებული შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული რეფორმები, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომელიც განახორციელებს მონიტორინგს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ეს ნიშნავს იმას რომ პოლიცია ორიენტირებული არის ადამიანის უფლებებზე, მის დაცვაზე. ჩვენ მნიშვნელოვანი ცვლილებები გვაქვს და ამაზე, ქალბატონ

ნინო აქვს საუბარი, პერსონალურ მონაცემების დაცვით კუთხით და როგორც ასევე, ქალბატონ თამარ ქალდანის პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის ანგარიშშიც არის ასახული, ჩვენ გვაქვს სერიოზული წინსვლა ამ მიმართულებით. ერთ მაგალითს მოვიყვან, რაც სახალხო დამცველს აქვს მოყვანილი, რომ უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების და ჩაწერის გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარება ძალიან იშვიათად ხდება, მხოლოდ და მხოლოდ 4% საერთო შემთხვევებისა. ძალიან დადებითად არის აღნიშნული დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებული ცვლილებების პროექტი, რომელსაც ვფიქრობ, რომ ძალიან კარგად მივიყვანთ ჩვენ პარლამენტში ბოლომდე და რაც ბევრ კითხვის ნიშანს მოხსნის დარწმუნებული ვარ სხვადასხვა საგამოძიებო სტრუქტურებთან მიმართებით. აგრეთვე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კუთხით გატარებული რეფორმები არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამაზე, ძალიან დადებითი შეფასება აქვს სახალხო დამცველს, ის ცვლილებები რომლებიც საქართველოს პარლამენტში განვახორციელეთ შრომითი უსაფრთხოების კუთხით ესეც დადებითად არის აღნიშნული. ასევე, ჯანდაცვის და სოციალური პოლიტიკის რეფორმის მიმართულებით მთელი რიგი ჯანდაცვის პროგრამებისა, სოციალური პოლიტიკის პროგრამებიც დადებითად შეფასებული, მათ შორის მუნიციპალური პროგრამებიც. შშმ პირთა დაცვის კუთხით დევნილთა განსახლების კუთხით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა ჯანდაცვის პროგრამების კუთხით. ასევე, სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მთელი რიგი საკითხები, რომელიც ასევე, დადებით ტენდენციებში არის მოხვედრილი. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით და გვგონია, რომ ეს არის იმ რეფორმების შედეგი, რომელიც რეალურად 2017 წელს განხორციელდა. თუმცა ამ მიღწევების კვალდაკვალ ჩვენ გვაქვს უამრავი გამოწვევა. ჩვენ, მით უმეტეს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრებმა ყველაზე, მეტად უნდა ვისაუბროთ ყველაზე დაჩაგრული , ყველაზე გაჭირვებული, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებზე, მათ გამოწვევებზე, და იმაზე, რა შეიძლება გავაკეთოთ ამ კუთხით. მე მგონია ჩვენ შეგვიძლია ძალიან თამამად ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველაზე, მნიშვნელოვანი და დიდი გამოწვევები, არის სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის კუთხით და ეს ძალიან კარგად აჩვენა ასევე, სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშმა. ჩვენ

საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში ორი მნიშვნელოვანი სიკეთე წამოვწიეთ წინა პლანზე. პირველი, ეს იყო ადამიანის ღირსება რომელიც ხელშეუხებელი არის და აბსოლუტური უფლება, არის და მეორე, ეს არის სოციალური სახელმწიფო პრინციპი. ამ ორი უმნიშვნელოვანესი ღირებულების ერთმანეთთან დაკავშირებით, ჩვენ სახელმწიფოებს აქვს ვალდებულება, რომ უზრუნველყოს სოციალური უსაფრთხოების სისტემა ქვეყანაში. რაც ერთის მხრივ ნიშნავს იმას, რომ ის ადამიანები რომელსაც აქვთ ამის შესაძლებლობა ეკონომიკური დოვლათი შექმნან ქვეყანაში, სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი იმაში, რომ მათ ეს გააკეთონ, ანუ ადამიანებმა შექმნან ეკონომიკური დოვლათი. მეორე მხრივ ის ადამიანები რომელთაც არ შეუძლიათ ამ ეკონომიკურ აქტივობებში მონაწილეობა არ შეუძლიათ დოვლათის შექმნა, სახელმწიფო უნდა იყოს მათი დაცვის გარანტი იმის გარანტი რომ მათ შეეძლოთ ღირსეული ცხოვრება და ღირსეულ პირობებში ცხოვრება. სწორედ ამ პრინციპებიდან ამოვედით ჩვენ, როდესაც ვსაუბრობდით კომიტეტში რომელი რეკომენდაციები გაგვეთვალისწინებინა და ბუნებრივია, ყველა რეკომენდაციაზე ვერ ვისაუბრებთ მაგრამ შევეცდებით თქვენი ყურადღება გავამახვილო ძირითად მიმართულებებზე, ჩვენ გვჭირდება ძალიან ძლიერი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა იმისთვის, რომ სახელმწიფომ თავისი პოზიტიური ვალდებულება, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით შეასრულოს და უპირველესი საკითხი, რაც ჩემი გადმოსახედიდან მნიშვნელოვანი არის, რაც რეკომენდაციებში კომიტეტმა მთლიანად დავსახეთ ეს არის ის რომ სოციალური შემწეობების სისტემის გადახედვა უნდა მოხდეს. ანუ ჩვენ გვჭირდება რეფორმა ამ კუთხით აქ არის რამდენიმე მიმართულება რომლის გაუმჯობესებაც შეიძლება. ჩემთან, როგორც ადამიანის უფლებების კომიტეტის თავმჯდომარესთან და ნახალოვკის და ლოტკინის მაჟორიტარ დეპუტატთან უამრავი ადამიანი მოდის და ზოგი ამბობს იმას, რომ ისინი ვერ საქმდებიან იმის შიშით რომ არ მოეხსნათ სოციალური შემწეობა, ზოგი ამბობს იმას, რომ მათ ეკუთვნის სოციალური შემწეობა და არა აქვთ ეს შემწეობა, მოუხსნეს შემწეობა აქ არის გარკვეული გამოწვევები და ამ გამოწვევებს ჩვენ რეალურად უნდა უპასუხოთ. ჩვენ უნდა მივცეთ ადამიანებს შანსი, ამოვიდნენ სიღარიბიდან. და ადამიანები არ იყვნენ აი, ამ ჩაკეტილ წრეში, რომელიც ხშირ შემთხვევაში განწირვას ხელმძღვანელობს მთელი ცხოვრება სიღარიბისთვის. ჩვენ უნდა მივცეთ ადამიანებს ამოვიდნენ სიღარიბიდან ამის შესაძლებლობა და მათ თავიანთი შვილებიც, შვილებსაც

უნდა უზრუნველყონ ღირსეული მომავალი ჩვენი უმთავრესი ამოცანა ეს არის ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ჩვენ ვაძლევთ რეკომენდაციას აღმასრულებელ ხელისუფლებას გაზარდოს პენსიები. ეს ბატონმა პრემიერ- მინისტრმაც დაანონსა და ჩვენი მოსაზრებაც ეს არის რომ პენსიები უნდა გაიზარდოს ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ხანდაზმულ ადამიანებზე, იმიტომ, რომ ისინი განსაკუთრებულად საჭიროებენ ჩვენს გვერდით დგომას და იმავდროულად ჩვენ გავცემთ რეკომენდაციებს, რომ ხანდაზმულთა პროგრამები გაიზარდოს, რათა უკეთესად იყოს ხანდაზმული ადამიანების სოციალური და ეკონომიკური უფლებები დაცული. ჩვენ ვაძლევთ მთავრობას რეკომენდაციას იმისას, რომ გაზარდოს ჩამონათვალი იმ მედიკამენტებისა რომლებიც ხელმისაწვდომი, უნდა იყოს ყველაზე, გაჭირვებული ფენისათვის. რაც შეეხება ქრონიკულ დაავადებებს ეს პროგრამა, როგორც მოგეხსენებათ მუშაობს, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ძალიან ბევრი ადამიანისთვის ძვირად ღირებული მედიკამენტები, ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში, არ არის ხელმისაწვდომი. აქედან გამომდინარე, ჩვენ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამთ თუ ამას უზრუნველვყოფთ ჩვენი მოქალაქეებისათვის. უსახლკარობის პოლიტიკა და მისი შემუშავება, ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჩვენ ძალიან გვაწუხებს და ვფიქრობთ, რომ ჩვენ გვჭირდება ქვეყანაში უსახლკარობის ერთიანი სტრატეგია, რომელიც ერთი მხრივ იმაზე იქნება ორიენტირებული, რომ მოხდეს უსახლკარობის აღმოფხვრა, უფრო სწორად უსახლკარობის პრევენცია და მეორე მხრივ გვჭირდება, ჩვენ გავაძლიეროთ მიმართულება იმისკენ, რომ ის ადამიანები, ვისაც არა აქვს სახლი და ვისაც აქვს საკუთარი ჭერის პრობლემა, ის ადამიანები რაღაცნაირად უზრუნველვყოთ, ეს იქნება მუნიციპალური ბინის ქირით უზრუნველყოფის მიმართულება, თუ სხვა ნებისმიერი მიმართულება, რომელიც ამ პრობლემას მოუგვარებს ადამიანებს. მნიშვნელოვანი არის, რომ ჩვენ მუნიციპალური პროგრამების კუთხით გვაქვს ასეთი პროგრამები, სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიხედვით, მაგრამ ამას არა აქვს ერთიანი სისტემური სახე, სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების პერიოდში, ეს აუცილებლად უნდა ვთქვა, უამრავი ადამიანი გახდა უსახლკარო იმიტომ, რომ ზოგი სახლს ოპერაციისთვის ყიდიდა, ოპერაციის დასაფინანსებლად, ზოგი სახლს ყიდიდა იმისთვის, რომ ძვირად ღირებული მკურნალობა გაეტარებინა თავისთვის, ან თავისი ოჯახის წევრისთვის და უამრავი ესეთი მიმართულებაა ეს ხალხი ეხლა არის უსახლკარო და ჩვენ მათზე აუცილებლად უნდა

ვიზრუნოთ, პირველ რიგში, ერთიანი სტრატეგიის შემუშავებით, რომელიც იქნება ეფექტიანი. ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი ასევე არის მრავალშვილიანი ოჯახები და მათი სოციალური წახალისება. პირდაპირ ვიტყვი, ეს არის ჩვენი ეროვნული ინტერესი, რომ წავახალისოთ მრავალშვილიანი ოჯახები, ის ადამიანები, ვინც ჩვენს ერზე და მის გამრავლებაზე ესე ზრუნავენ. მათ ჰქონდეთ რაღაც გარკვეული შეღავათები, როგორც მოგეხსენებათ, ყველამ ჩვენ მხარი დაუჭირეთ, სულ ცოტა ხნის წინ, ბატონ დიმიტრი ხუნდაძის მიერ შემუშავებულ პროექტს, რომელიც სწორედ ამ კუთხით ნაბიჯების გადადგმას ემსახურება, მაგრამ ჩვენ გვჭირდება ეხლა აღსრულების დონეზე, შესაბამისი ფინანსური შეღავათებით უზრუნველვყოთ ეს ოჯახები, იმისთვის, რომ მათ ჰქონდეთ უფრო მეტი მოტივაცია და სხვა ადამიანებსაც ჰქონდეთ უფრო მეტი მოტივაცია და ის ადამიანები ვინც რეალურად ჩვენი გენოფონდის გაზრდაში სერიოზული წვლილი შეაქვთ ამ ადამიანებს, ისინი იყვნენ წახალისებული. შშმ პირების თემატიკა აქ, სამწუხაროდ, ობიექტური გარემოების გამო, არ იმყოფება ჩემი მეგობარი და ჩვენი კოლეგა ბატონი რატი იონათამიშვილი, რომელიც არის მედროშე, შშმ პირთა კუთხით და მათი უფლებების დაცვის კუთხით, მაგრამ მის ნაცვლად მე აღვნიშნავ ეხლა, რომ ნამდვილად ჩვენ გვაქვს სერიოზული გამოწვევები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართულებით და ჩვენ ამ გამოწვევებს უნდა უპასუხოთ ადეკვატურად, ეს იქნება მათი დასაქმების ხელშეწყობა, მათი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ადაპტირება გარემოსი და ასე შემდეგ. ფსიქიკური ჯანმრთელობა და პაციენტთა უფლებები არის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა და სხვადასხვა რაკურსით რამდენიმე რეკომენდაცია გვაქვს გათვალისწინებული, სახალხო დამცველის ანგარიშიდან. დევნილების თემატიკა უმნიშვნელოვანესია, როგორც ქალბატონმა ნინომ თქვა, აქ სერიოზული პროგრესი არის, დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის, მაგრამ იმავდროულად გვაქვს სერიოზული გამოწვევებიც იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ჯერ კიდევ არის დარჩენილი ამ ღირსეული საცხოვრებლის მიღმა და აქედან გამომდინარე, ჩვენ ეს პოლიტიკა უნდა გავაგრძელოთ და ამ რეკომენდაციას გავცემთ ისევვე, როგორც დევნილთა საჭიროებებზე მორგებული ახალი სისტემის შემუშავება, რომელიც ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი იქნება და გასაკეთებელი არის აუცილებლად. შრომის უსაფრთხოება და შრომითი უფლებებიც ბუნებრივია ყველა ჩვენგანი შეგვძრა ყველა იმ ტრაგედიამ, რაც მოხდა [illegible]

უკვე, მინდელის მაღაროში და ასევე, სხვა მიმართულებითაც სერიოზული გამოწვევები გვაქვს ძალიან რბილად რომ ვთქვათ ამ კუთხით მე მგონია რომ ადამიანის გვამებზე, ნაშენები ბიზნესი ქვეყანას ვერ მოუტანს კეთილდღეობას. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის რომ ჩვენ შრომის უსაფრთხოება და შრომითი უფლებები მაქსიმალურად დავიცვათ. როდესაც მშრომელი კმაყოფილი არის ის ბიზნესი არის ძალიან წარმატებული, ეს არის საერთაშორისო აქსიომა, ამიტომ ჩვენ თუ გვინდა ერთი მხრივ ჩვენი შრომითი უფრო სწორად ჩვენი მუშაკები დავიცვათ და მეორე მხრივ ბიზნესიც წარმატებული , იყოს ამ ქვეყანაში ჩვენ უნდა გვქონდეს ძლიერი შრომის უსაფრთხოებაც, ძლიერი უფლებების დაცვის მექანიზმი და აქედან გამომდინარე ნამდვილად ბუნებრივია პარლამენტს ჩვენ, ჩვენი როლი გვეკისრება და ამაზე, ძალიან აქტიურად ვმუშაობთ მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების ასე ვთქვათ როლი არის ძალიან დიდი ამ საქმეში და ჩვენ გავეცით რამდენიმე რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდეს ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება შრომის უსაფრთხოებისა რამდენიმე ევრო დირექტივა არის რომლის შესაბამისად ნაბიჯების გადადგმის რეკომენდაცია გავეცით აღმასრულებელ ხელისუფლებას. ჩვენთვის უფაქიზესი თემაა, ასევე ბავშვები, და ბავშვთა სიღარიბე, რომელზედაც ძალიან ხშირად გვისაუბრია და რა თქმა უნდა, ჩვენ გვერდი არ უნდა აგვეარა, ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისთვის. ბავშვთა სიღარიბის აღმოფხვრა, ბავშვთა უფლებების დაცვა, არის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი, რაც რამდენიმე მიმართულებით რამდენიმე რეკომენდაციაში გავითვალისწინებთ, მათ შორის არის სათამაშოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები იმიტომ, რომ როგორც რამდენიმე კვლევამ აჩვენა სათამაშოების გარკვეული ნაწილი სერიოზული საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ბავშვებისთვის და აქედან გამომდინარე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ამაზე. ქალბატონმა ნინომ, ისაუბრა ჩაგვრაზე, ბავშვთა შორის ეგრეთ წოდებულ, ბუილინგზე, და ჩაგვრაც უდიდესი გამოწვევა, არის მე ვფიქრობ რამაც მიგვიყვანა ხორავას ქუჩის, ტრაგედიამდე, ეს იყო ნამდვილად პიკი და ეს არის იმის შედეგი, რომ ჩვენს რეალობაში, სამწუხაროდ, ბავშვთა შორის ჩაგვრა, არის გაზრდილი და ეს არა მხოლოდ ბავშვებს ეხება იმიტომ, რომ ეს ბავშვები, რა თქმა უნდა, გაიზრდებიან მოზარდები, უფრო სწორად ზრდასრულები იქნებიან და ზრდასრულებში შემდეგ გვაქვს დაუსრულებელი ჯაჭვი ძალადობის, ჩაგვრის და ერთმანეთის უპატივცემულობის, აქედან გამომდინარე ჩვენ გვაქვს

მთავრობას რეკომენდაციას, რომ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, იმისთვის რომ ბავშვთა შორის ჩაგვრის საკითხთან დაკავშირებით ცნობიერება ამაღლდეს საზოგადოების, ეს არის უდიდესი პრევენციული იარაღი, რამაც ყველაზე, მეტი შედეგი შეიძლება მოგვიტანოს მაშინ, როდესაც ჩვენ განათლების პრევენციის კუთხით ვიმუშავებთ. ასევე, კიდევ ერთი ძალიან დიდი და სერიოზული გამოწვევა, ეს არის ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა. სამწუხაროდ, წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია ბოლო დროს ძალადობამ ადამიანებს შორის და განსაკუთრებით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობამ, ჩვენ ბუნებრივია ძალიან ბევრი ნაბიჯი გადავდგით ამ კუთხით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი და მეტი და ამასთან დაკავშირებით არის კონკრეტული რეკომენდაციები გაცემული. ჩვენ პარლამენტიც ვმუშაობთ ამ ახალ ცვლილებების პაკეტზე, რომელსაც დარწმუნებული ვარ საშემოდგომო სესიაზე, უკვე წარმოვადგენთ, მაგრამ ეს ძალადობა რჩება სამწუხაროდ ჯერჯერობით კვლავ ძალიან დიდ გამოწვევად. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები ისევ და ისევ, ჩვენს ტკივილად რჩებიან. ობიექტური მიზეზების გამო ჩვენ ვერ ვახორციელებთ ჩვენს იურისდიქციას და შესაბამისად ძალიან მწირი მექანიზმები გვაქვს ადამიანის უფლებების დაცვისა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, თუმცა, რაც შეგვიძლია ჩვენ, ჩვენი მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ ეს იქნება ჯანდაცვის მიმართულებით თუ სხვა მიმართულებით ამიტომ, შესაბამისი რეკომენდაციები გვაქვს გათვალისწინებული ჩვენი დადგენილების პროექტში. ეს იყო, რაც მინდოდა მეთქვა სოციალურ და ეკონომიკური უფლებების კუთხით მათ შორის რაც შეეხება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. აქ, მე მგონია, რომ გვაქვს სერიოზული წინსვლა და სახალხო დამცველის ანგარიშიც ვფიქრობ, ამ კუთხით ძალიან კარგი ანალიზის საშუალებას გვაძლევს. ჩემთვის პირადად ინდიკატორი იმისა რომ სოციალური, უკაცრავად სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ძალიან კარგად არის დაცული, მიუხედავად ძალიან ბევრი გამოწვევებისა არის ის, რომ სტრასბურგის სასამართლოში, საქართველოდან წასულმა სარჩელებმა დაახლოებით 90% დაიკლო. ეს არის ჩემთვის პირადად უდიდესი ინდიკატორი, იმისა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კუთხით ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული წინსვლა. მიუხედავად ბევრი გამოწვევისა, რომელიც არის და ამ გამოწვევებზე, ახლავე ვისაუბრებ. აქ აქცენტი, იყო რამდენიმე გახმაურებულ საქმეზე გაკეთებული, მათ შორის, ერთ-ერთი

შემიძლია დავასახელო მაჩალიკაშვილის, საქმე რომელზედაც ჩვენ ვიზიარებთ სახალხო დამცველის რეკომენდაციას, რომ გამოძიება აუცილებლად ბოლომდე უნდა მივიდეს და ნათელი უნდა მოეფინოს რეალურად ჰქონდათ თუ არა ადგილი ძალის არა პროპორციულად გამოყენებას. ასევე, სარალიძის საქმეზე, იყო საუბარი და ჩვენ ამაზე, პარლამენტის დონეზე, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზეც, ძალიან ბევრი ნაბიჯი გადავდგით, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მათგანი არის საგამოძიებო კომისიის შექმნა თუმცა გგონია, რომ ჯერ ადრეული დასკვნების გაკეთება იქნება ძალიან ნაჩქარევი, ამიტომ ჩვენ ბუნებრივია, ველოდებით საგამოძიებო კომისიის მუშაობის დასრულებას იმისთვის რომ ჩვენ გვქონდეს კონკრეტული შედეგების შესახებ საუბრის შესაძლებლობა და ეს საუბარი იქნება შემდეგ უკვე ობიექტური, ობიექტურ ფაქტებზე, დაყრდნობილი. ასევე, მუხთარლის საქმეს სადაც ჩვენ ასევე, ვფიქრობთ, რომ გამოძიებაც ბოლომდე უნდა მივიდეს თუმცა ეს იყო პარლამენტის მიმართ გაცემული რეკომენდაციების ნაწილში და აქ ცალკე გვექნება ამაზე მსჯელობა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. ქალბატონი ნინოსთან დაკავშირებით, ქალბატონო ნინო, მართლ,მსაჯულების საკითხთან დაკავშირებით მინდოდა ცოტა ოდნავ მეტი მესაუბრა. მართალია, ჩვენ მართლმსაჯულებაში გვაქვს გამოწვევები და ეს გამოწვევები არის მომდევნო წლებში, წელსაც და მომდევნო წლებშიც ჩვენი ზრუნვის საგანი და იქნება აუცილებლად, მაგრამ არ შემიძლია გვერდი აუარო იმ რეალურ შედეგებს, რომლებიც უკვე ციფრებში არის გამოხატული. მაგალითად, მე ხელთ მაქვს შესაბამისი სტატისტიკა და ის რეფორმები რომლებიც ჩვენ გავატარეთ რეფორმის რამდენიმე ტალღის ფარგლებში ამ რეფორმებმა შედეგები მოიტანა და ეს ციფრებში არის უკვე გამოსახული, მაგალითად, შემცირებული არის საგრძნობლად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება და 2000 წელთან შედარებით მაგალითად 2016 წლის მონაცემებით 53% არის ეს ციფრი შემცირებული. მაგალითად, წინა წლებთან შედარებით 82% გაიზარდა გაუმართლებელი განაჩენები ანუ ვგულისხმობ 2012 წლის შემდეგ. 82% არის გაზრდილი გაუმართლებელი განაჩენები. მაგალითად, თუ უფრო სწორად 2016 წელს, დავების 40% მხოლოდ დასრულდა სახელმწიფო ორგანოების სასარგებლოდ, როდესაც ვიცით წინა წლებში რა საგანგაშო ვითარება იყო ამ კუთხით, 2012 წლამდე, განსაკუთრებით ეს პროცენტული მაჩვენებელი, რომ 40%-მდე, არის დასული ვფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგი მაჩვენებელი არის. მაგალითად, 68% შემცირდა ადმინისტრაციული პატიმრობა, ესეც სერიოზული

მაჩვენებელი არის. ჩვენ დღეს შეგვიძლია თამამად ვისაუბროთ დეპოლიტიზირებულ სასამართლოზე. სასამართლო არის აბსოლუტურად დეპოლიტიზირებული და ჩვენ ამ გზაზე, გვაქვს გამოწვევები, მაგრამ ეს გამოწვევები ბუნებრივია არ არის საგანგაშო, არამედ ჩვენ გეგმა ზომიერად ეტაპობრივად მივყვებით ამ გზას და მე დარწმუნებული ვარ, რომ რაზეც დღეს გვაქვს გარკვეული ვთქვათ კითხვის ნიშნები, ეს კითხვის ნიშნები მომავალ წლებში უკვე, საბოლოოდ აღმოიფხვრება. ასევე, მინდოდა ორიოდე სიტყვით გენდერული თანასწორობის შესახებ მეთქვა. აქაც უმნიშვნელოვანესი საკითხები გვაქვს დასაძლევი და ჩვენ გენდერული თანასწორობის კუთხით, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე, დადგენილების პროექტში გვაქვს რეკომენდაციები გაცემული. რელიგიური უმცირესობის საკითხებზეც გვაქვს რამდენიმე რეკომენდაცია გაცემული და ვფიქრობ, რომ ესეც მნიშვნელოვანი არის, რომ რელიგიური თანასწორობა მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი. ეთნიკური უმცირესობების საკითხი ესეც ძალიან მნიშვნელოვანი არის და აქ აქცენტი კეთდება, ბუნებრივი არის, ეთნიკური უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში მაქსიმალურ ინტეგრაციაზე, მათთვის ქართული ენის სწავლებაზე, იმაზე, რომ ეს ადამიანები მაქსიმალურად იყვნენ ისევე, როგორც საზოგადოების ნებისმიერი სხვა წევრი, საქართველოს ცხოვრებაში ქართული საზოგადოების ცხოვრებაში ჩართულები და აქ, რა თქმა, უნდა, მუნიციპალიტეტებსაც მათ შორის მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვთ. ეს იყო ძალიან მოკლედ რისი თქმაც მინდოდა, რომ ჩემს დროს არ გადავაცილო უბრალოდ დასკვნის სახით ვიტყვი შემდეგს, რომ თვითონ ამ ანგარიშთან მიმართებით ჩვენ გვაქვს საგრძნობი გაუმჯობესება 2017 წლის ანგარიშთან დაკავშირებით წინა წლების ანგარიშებთან შედარებით. იმიტომ, რომ ხარისხობრივად ძალიან გაუმჯობესებული არის ნამდვილად და მადლობა მინდა ქალბატონ ნინოს უთხრა ამისთვის იმიტომ, რომ ეს ანგარიში არის უფრო სისტემური უფრო ჩამოყალიბებული უფრო დალაგებული და არ არის ქაოტური. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის შედეგი და ბუნებრივია ჩვენც ვიყავით მაქსიმალურად ორიენტირებული იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი რეკომენდაცია გაგვეზიარებინა სახალხო დამცველის ანგარიშიდან ამიტომ, ნამდვილად რეკორდული მაჩვენებელი გვაქვს კიდევ, ერთხელ ვიმეორებ 303 ანგარიშიდან თქვენ ხედავთ დიაგრამაზე, მოცემული არის რომ 303 რეკომენდაციიდან 228 გაითვალისწინა ჩვენმა კომიტეტმა დადგენილების პროექტში ასევე ნაწილობრივ

არის წარმოდგენილი და წარმოადგენს 75%-ზე მეტს სრული რეკომენდაციებისა,. ესეც ძალიან დიდი მაჩვენებელი არის და ხედავთ დინამიკაში, რომ წლითი წლობით უფრო მეტი და მეტი რეკომენდაციის გაზიარება ხდება საქართველოს პარლამენტის მხრიდან, ეს ბუნებრივია, აჩვენებს იმას, რომ ჩვენ საქართველოს პარლამენტი ძალიან სერიოზულად ვეკიდებით სახალხო დამცველის ანგარიშებს და ჩვენთვის ადამიანის უფლებები, მისი დაცვა არის უმთავრესი პრიორიტეტი, მაშინაც კი, როდესაც ჩვენ გამოწვევებზე გვიწევს საუბარი და ჩვენ ამ გამოწვევებზე, იმ პრობლემებზე, რომელიც არსებობს ჩვენი საზოგადოებისთვის, ნამდვილად, ამ გამოწვევებზე საუბარი არ გვერიდება, ჩვენ ვართ პირველები, ვინც ამაზე ხმამაღლა ვამბობთ და ჩვენ ვართ პირველები, ვინც, ასე ვთქვათ, ვახორციელებთ საპარლამენტო კონტროლს იმისთვის, რომ ნებისმიერი საკითხი, რომელიც არის პრობლემური, ჩვენი საზოგადოებისთვის ის გადავჭრათ და გადავჭრათ ბუნებრივია მაქსიმალურად ჩვენი მოსახლეობისთვის სარგებლიანობის კუთხით და კიდევ ერთი საკითხი, ჩვენ წელს დავამატეთ პარლამენტის მიმართ გაცემული რეკომენდაციები, რასაც სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გავივლით, ვიმსჯელებთ და საბოლოო შემდეგ უკვე გადაწყვეტილებას მივიღებთ, მაგრამ ესეც ადამიანის უფლებების .....

<u>თავმჯდომარე</u>. დაასრულებინეთ.

<u>ს.კილაძე.</u> ესეც ადამიანის უფლებების მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი არის სტანდარტის გაუმჯობესება რომელზედაც ჩვენ ყოველთვის და მუდმივად ვსაუბრობთ. ძალიან დიდი მადლობა, ბუნებრივია მზად ვარ, თქვენ კითხვებს უპასუხო.